# ფანტაზია

№14 (85) 1998

19.05.-1.06. | ი/ს „ფანტაზიის" შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 20 თეთრი


# 26 მაისის კროსვორდი




**თანამიმდევრულად:** **1. (თარ.)** ქართული გვარი, რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიცნო კინემატოგრაფის საშუალებით. **1. (შვ.)** ქალაქი, რომელიც ფოტობზე წარმოდგენილ ორ ძეგლთან უშუალოდაა დაკავშირებული. **2**. დიდი ფართობის კარგი სახნავ-სათესი მიწა. **3**. ქართულ კინოსთან გაშინაურებული ფრანგი კინოკომიკოსი მსახიობი. **4**. შუა საუკუნეების ერთი ქართველი გმირის სახელი. **5**. ქართული განათლების სისტემის ყველაზე დამსახურებული ყვავილი. **6**. ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ფრანგული რომანი. **7. (თარ.)** უძველესი ქართული ტომები (მრ.რ.) **7. (შვ)** რა არის „კატამონთან" ირ. აბაშიძის თანახმად? **8**. ერთ-ერთი საგანი, რომელსაც ჩვენ „დედა" წავუმძღვარეთ. **9**. ჩვენი (ეროვნული) ღამის ფრინველი. **10**. შესანიშნავი ქართველი კინორეჟისორი. **11**. თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარი პატარა რგოლი. **12**. სულხან-საბა ორბელიანისეული პერსონაჟი. **13**. კონსტანტინე გამსახურდიასეული პერსონაჟი ქალი. **14**. XX ს. ქართველი რომანისტი (გვარი და სახელი). **15**. თანამედროვე ქართველი მსახიობი მამაკაცი. **16**. ქართული ტელევიზიის დამსახურებული ქალბატონი. **17**. საქმის მოკლედ მოსაჭრელი ძველთბილისური სიტყვა. **18**. ქართულ პოეზიაში ერთობ პატივდადებული სახელი ქალისა. **19**. ქართული ავიაციის წინაშე დიდი ღვაწლის მქონე ფრინველი. **20**. (კიდევ ერთი) ღვაწლმოსილი ფრინველი ქართული ავიაციისა და კულტურის წინაშე. **21**. (ცოტა გადავუხვიოთ) მსოფლიო ფერწერის ერთ-ერთი ცნობილი მადონას სახელი. **22**. (ისევ გადმოვუხვიოთ) საქართველოს ისტორიაში უკეთური მოვლენით მოსახსენიებელი თვე. **23. (თარ.)** ძველქალაქური სადილი. **23. (შვ.)** ოთხი და სამი – ერთად. **24**. ხმარებაში ნამყოფი პროდუქცია. **25**. შვეული №37-ისათვის კარგად ნაცნობი ფრინველი. **26**. ყვითელყვავილიანი ბუჩქი და თანაც შხამიანი მათრობელა მცენარე. **27**. სახელი მსახიობი ქალისა, რომელიც ლეგენდასავით შემორჩა ქართულ კინოს. **28**. მთავარი პერსონაჟი პიესისა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის". **29**. ქართული ვოკალური ხელოვნების ცოცხალი ლეგენდა (სახელი და გვარი). **30**. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყოფილი რექტორი. **31**. ქართული პოეზიის წინაშე „ვალმოხდილი" სოფელი თბილისის მახლობლად. **32**. მაშ, როგორია „ნა" რუსთველის აზრით? (I) – ყოველი ერისათვის სასურველი პოლიტიკური სტატუსი. (II) – რძეში მოხარშული ცომი. (III) – ქართველთა სავარაუდო სიტყვა. (IV) – პირველი ქართული მხატვრული კინოფილმი. **33**. ქართული ესტრადის მომღერალი ქალი. **34**. როგორი შეიძლება იყოს ესა თუ ის ძველი ნივთი ოჯახისათვის? (V) – ამ კაცს კროსვორდის გამომგონებლად მიიჩნევენ... თუ გახსოვთ მისი გვარი, ჩაწერეთ! (თუ არა და... დაელოდეთ შემდეგ ნომერს). **35**. მელიასათვის ერთობ შესაფერისი ეპითეტი. **36**. ძველებური სიგრძის საზომი ერთეული. **37**. ქართული პოეზიის სიამაყე. **38**. ქართული არქიტექტურის სიამაყე. **39**. ქართული ლიტერატურის წინაშე ვალმოხდილი გვარი. **40**. ქართველი ემიგრანტი მეცნიერი-ლიტერატურათმცოდნე. **41**. იმერელი მოსამსახურე ბიჭების ზოგადი სახელი ძველ თბილისში. **42**. ვინ არის ლავრენტი არდაზიანი სოლომონ ისკიჩ მეჯღანუაშვილთან მიმართებაში? **43**. რა გვარია მოწმე ქალბატონი სპექტაკლ „ძველი ვოდევილებიდან"? **44**. ქართველთა სამოღვაწეო ერთ-ერთი მთა მახლობელ აღმოსავლეთში. **45**. თავზეხელაღებული, თამამი ბიჭების მოსახსენიებელი სიტყვა ძველ თბილისში. **46**. მეფე, რომელსაც განგებამ „ტრფობა წამებული" არგუნა. **47**. ძველქართველთა გარდერობის შემადგენელი ნაწილი. **48**. ერთგვარი ავსული. **49**. ერთი შინაური ცხოველის ნაშიერი მრავლობით რიცხვში (ჩაწერეთ სწორი ფორმა). **50**. ვახუშტი კოტეტიშვილის საყვარელი სპარსული სალექსო ფორმა. **51**. რა იდგა შორეული ეპოქების არმაზში. **52**. სახელი პერსონაჟისა დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „ქამუშაძის გაჭირვება". **53**. თბილისში დაბადებული ვარსკვლავი რუსული ესტრადისა. **54**. თუ იცით სიტყვა „იეთიმის" მნიშვნელობა, ჩაწერეთ (...დიახ, დიახ, იეთიმ გურჯიზე მოგახსენებთ). **55**. რა არის დამახასიათებელი ალაზნის ველისათვის ივლის-აგვისტოში? **56**. რა უნდა ჩაგვებარებინა



ოდესღაც სახელმწიფოსათვის, რომ „უქარქაშო ხმლების" ყიდვის უფლება გვქონოდა? **57**. ტერორისტი, რომლის ნეშტი „თავისუფლების მოედანზე" დიდიხანს განისვენებდა. **58**. რა არის ის ერთადერთი „ცისფერი", რაც ქართველ მამაკაცებს არ ეჩოთირებათ? **59**. ქალაქი, სადაც ჩვენმა (ახლანდელმა) პრეზიდენტმა აშშ-სა და სსრკ-ს (მაშინდელი) პრეზიდენტები სერიოზულ კონფლიქტს განარიდა. **60**. ერთი (სამწუხაროდ!) ზოგადქართული ავი თვისება. **61. (თარ.)** ხევსურული სახელი მამაკაცისა. **61. (შვ.)** სხეულის შემადგენელი ნაწილი. **62**. რა არის ის, რასაც სესილია თაყაიშვილის პერსონაჟი ქუთაისის ავტოქარხანაში დაეძებდა? **63**. ახლო წარსულის პოპულარული ქართველი პოლიტიკოსი ქალი. **64**. როგორი კაცი იყო არსენა ოძელაშვილი? **65**. დასავლურქართული პრივილეგირებული გვარი. **66**. (ერთიც გადავუხვიოთ) ვენეციელ მენავეთა სიმღერა. **67**. (ისევ გადმოვუხვიოთ) ერთ-ერთი უპირველესი ქართული ოპერა. **68**. მკვრივი აღნაგობის ანუ როგორი? **69**. სამკურნალო მცენარე. **70**. თანამდებობა ფეოდალურ საქართველოში. **71**. თბილისის ერთ-ერთი რაიონი. **72**. საქართველოს სახელაღდგენილი რაიცენტრი. **73**. საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ერთი პოპულარული გადაცემის შემადგენელი ნაწილი. **74**. სალოცავი ლექსები ან გალობა მართლმადიდებლურ ეკლესიაში. **75**. თბილისში მოქმედი ერთ-ერთი ავიაკომპანია. **76**. ძველქართული პრივილეგირებული გვარი. **77**. ორენოვანი ტექსტი. **78**. ჰაერის მასის მძლავრი და ჩქარი გადაადგილება. **79**. ქართველი კინოპერსონაჟი „აგურის ქარხნიდან". **80**. რა იყო ჯერ კუპონის და მერე ლარის ხალხში გაშვება მოხმარების თვალსაზრისით. **81**. კვაჭი კვაჭანტირაძის სამოღვაწეო ერთ-ერთი ქალაქი. **82**. ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ერთობ პოპულარული სახელი. **83**. თბილისის ფარგლებში მოქცეული სოფელი. **84**. ქართული ვოკალური ხელოვნების (აწგარდაცვლილი) გენია (სახელი და გვარი). **85**. მთავარი სისხლძარღვი. **86**. სოფელი კასპის რაიონში. **87**. დაბა ქარელის რაიონში. **88**. სესილია თაყაიშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟი. **89**. უღელტეხილი საქართველოს კავკასიონზე. **90**. რა შეიძლება შეეკრას კაცს (...და ქალსაც)? **91**. მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე. **92**. დაუნდობელი და ვერაგი, ანუ კიდევ როგორი? **93**. სადურგლო იარაღი. **94**. წინასწარ გადახდილი თანხა. **95**. ყაზბეგისეული პერსონაჟი ქალი. **96**. როგორი კაცი იყო შადიმან ბარათაშვილი? **97**. შიო არაგვისპირელის მოთხრობა. **98**. მზის სხივთა ქმედების სახესხვაობა.

*დასაწყისი ა.წ. „ფანტაზია“ № 10-13*

— წინ, სემ! — უბრძანა მძღოლმა თავის მანქანას, რათა ბავშვები გაემხნევებინა — ვაჩვენოთ მარსას და სკიპს, რის გაკეთებაც შეგვიძლია! — ...და სემი ისე მოსწყდა ადგილს, როგორც მე-20 საუკუნის ძველი ორთქლმავალი. სემი ჩქარა მიდიოდა, მაგრამ სისწრაფეში მაინც ვერ სჯობნიდა პტერანოდონებს და ყაჩაღები მალე დაეწივნენ მას. წინა პტერანოდონმა ასიოდე მეტრის მოშორებით რაღაც დიდი ლითონის კვერცხი ჩამოაგდო და კვლავ ზეცაში აიჭრა. ეს კვერცხი ჩვეულებრივი ბომბი აღმოჩნდა, რომლის აფეთქებამაც უზარმაზარი ძაბრისებრი ორმო ამოთხარა და მას კარპენტერმა ძლივს შემოუარა. პალეონტომავალის მძღოლმა თავისი მანქანა მეორე სიჩქარეზე გადაიყვანა... რრრრრრ... დაიღმუვლა საპასუხოდ მანქანამ და კარპენტერმა ერთხელაც გაამხნევა ბავშვები — აი, ახლა კი ნამდვილად ველარავინ დაგვეწევაო! — მერე ცას ახედა და ამჯერად სამი პტერანოდონი შენიშნა.

— სამი? გუშინ ხომ მხოლოდ ორი იყო, მარსა?! — იკითხა აღგზნებულმა კარპენტერმა.

— ე.ი. ეკიპაჟის სამივე წევრი აქ არიან და ხომალდი უპატრონოდაა მიტოვებული, მისტერ კარპენტერ — უპასუხა მარსამ.

— უპატრონოდ?... ბავშვებო, თქვენ ხომ ვერ შეძლებდით იმ ხომალდში შეღწევას?

— შევძლებთ — გამოეპასუხა სკიპი — ეს ჩამოწერილი სამხედრო ავიამზიდია; ყველა, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ტექნიკაში, თავისუფლად შეძლებს მისი კარის გაღებას. სწორედ ამის წყალობით მოვახერხეთ მე და მარსამ იქიდან გამოქცევა. მე შევალ ხომალდში, მისტერ კარპენტერ!

— კარგი... ჩვენ მათ მათსავე ხომალდში დავხვდებით!

მარსას დახმარებით სრულიად მარტივი იყო დროში ნახტომის შესასრულებელი კოორდინატების გამოთვლა. რამოდენიმე წამში სემი უკვე მზად იყო საამისოდ... მათ თვალწინ კვლავ რაღაც აციმციმდა, სემი ოდნავ შეტორტმანდა და... დღის სინათლე განთიადის ბინდბუნდმა შეცვალა. სადღაც უკან, გამოქვაბულის პირას კიდევ ერთი ტრიცერატანკი იდგა, გამოქვაბულში კი ღრმა ძილში იყვნენ ჩაფლულნი კიდევ ერთი კარპენტერი, კიდევ ერთი მარსა და სკიპი.

— მეტისმეტად უკან ხომ არ გადავხტით, მისტერ კარპენტერ? — იკითხა სკიპმა.

კარპენტერმა სინათლეები ჩართო და ტევრიდან გამოსვლა დაიწყო... — ოთხი საათით უკან გადმოვედით, სკიპ. ახლა ჩვენ საკმარისი დრო გვაქვს საიმისოდ, რომ ყაჩაღების ხომალდამდე მივიდეთ და იქ დავხვდეთ მათ. თუმცა, შესაძლოა, მანამდეც მივიდეთ, სანამ ისინი თქვენს საძებრად წამოვლენ.

— ამ დროშიც რომ გვიპოვონ მათ? — დაეჭვდა მარსა — მაშინ ხომ ჩვენ კვლავ იგივე პრობლემის წინაშე დავდგებით?

— არც ესაა გამორიცხული, პაწაწავ. მაგრამ ჩვენ უფრო მეტი შანსი გვაქვს, რადგან მათ ახლა რომ გვიპოვონ, ოთხი საათის შემდეგ ძებნას აღარ დაგვიწყებდნენ, ხომ ასეა?

— თქვენ ძალიან ჭკვიანი ხართ! — თქვა მარსამ და ეს კომპლიმენტი ბევრს ნიშნავდა იმ გოგონასაგან, რომელსაც ზეპირად შეეძლო 4 692 438 921, ვთქვათ, 828 464 280-ზე გადაემრავლებინა.

— ახლა კი, ბავშვებო, იმედია, თქვენ იპოვით მათს ხომალდს?

— ჩვენ სწორად მივდივართ... მე მიმართულების დადგენა ინტუიციით შემიძლია — თქვა სკიპმა. ხომალდი ტოტებითაა შენიღბული და შორიდან დიდ ხეს წააგავს.

ამ დილით მათთვის უკვე მეორედ ამოვიდა მზე. ისინი მიდიოდნენ და სემი თავისი უცნაური გარეგნობით ცარცული პერიოდის მრავალფეროვან ცხოველურ სამყაროს შიშის ზარს სცემდა, თუმცა გზად ტირანოზავრი რომ შემოხვდომოდათ, საკითხავია — ვინ ვის შეაშინებდა, მაგრამ ტირანოზავრებს, ალბათ, ჯერ ეძინათ და სემმა დაუბრკოლებლად მიაღწია იმ ადგილს, საიდანაც დროში გადანაცვლებამდე პტერანოდონებს დაუსხლტნენ.

— შეხედეთ! — შესძახა მარსამ — აი, ის ხე, რომელზედაც ჩვენ იმ კუზიანი ურჩხულის შიშით ავძვერით.

— სწორია — დაეთანხმა სკიპიც.

ამასობაში კი სემი გაშლილ ველზე გავიდა, წინ მეზოზოურ სმოგში გახვეული მაღალი მთები ჩანდა. ჰაერი ისეთი ტენიანი იყო, რომ ტრიცერატანკის კაბინაზე წვეთებად გარდაქმნილი ჰაერის მასა წვიმის ნაკვალევივით გამოიყურებოდა. ბოლოს, როგორც იქნა,




მდინარესაც მიაღწიეს, რომელიც რამოდენიმეჯერ ახსენეს ბავშვებმა... დინების გაყოლებაზე კარპენტერმა პირველად ცხოვრებაში ბრონტოზავრი დაინახა; მან ბავშვებსაც დაანახა ეს გიგანტი, რომელიც მდინარის გაღიგარღმო იწვა და წყალსზემოთ მხოლოდ მისი პატარა თავი, გრძელი კისერი და ხორკლიანი ზურგი ჩანდა. ეს საბრალო არსება იმდენად დიდი იყო, რომ დღედაღამ გამუდმებით რაღაც უნდა ეჭამა, რათა არსებობა შეენარჩუნებინა. კარპენტერმა ფონი მოძებნა და სემი გაღმა ნაპირისაკენ გადაიყვანა. აქ ნიადაგი უფრო მყარი ჩანდა, მაგრამ ეს მაცდური აზრი იყო, რადგან სემის სანავიგაციო ხელსაწყოები აჩვენებდნენ, რომ ნიადაგის თხელი ფენის ქვეშ მრავლად იყო უცნაური ღრმულები („ღმერთო ჩემო! — გაიფიქრა კარპენტერმა — კიდევ კარგი ბავშვებს მიწა არ გამოეცალათ ფეხქვეშ!“). ირგვლივ საოცარი მრავალფეროვნების ფლორის სამყარო იყო გაშლილი. დედამიწის ზედაპირი ხელთუქმნელი მცენარეული ხალიჩებით იყო მოფენილი, რომელთაც გვირგვინივით ეგდნენ უზარმაზარი პალმები. ერთი მათგანი ასორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზედაც კი იყო ატყორცნილი... კარპენტერი გაკვირვებული მიაცქერდა ბუნების ამ საოცრებას. ცარცულ პერიოდში ასეთი გიგანტები, როგორც წესი, მაღალმთიან ადგილებში იზრდებოდა, აქ კი გაშლილ ველზე იდგა და, გარდა ამისა, ასეთი ზომების მქონე ხეები მეზოზოურ ერაში საერთოდ არ არსებობდა?! გიგანტურ პალმას სხვა უცნაურობანიც ახასიათებდა: ჯერ ერთი — მას საოცრად მსხვილი ღერო ჰქონდა, ქვედა ნაწილი კი სამ ტოტად იყო გაშლილი და რაღაც სამფეხას წააგავდა... ბავშვები ამ ხის ხილვისას მღელვარედ აწრიალდნენ და დაიყვირეს:

— ის არის, ის არის... ყაჩაღების ხომალდი!

— მეც ასე მგონია — დაუდასტურა კარპენტერმა — მაგრამ ასე უგნურად რატომ შეუნიღბავთ, მას ხომ ყველა დედამიწელი განასხვავებს გარემო სამყაროდან?

— არა, მისტერ კარპენტერ, მთავარი ისაა, რომ ზეციდან არ ჩანდეს — განმარტა მარსამ — მართალია, მარსის კოსმიური პოლიცია მას დეტექტორების საშუალებითაც აღმოაჩენს, მაგრამ ამასობაში დრო გავა და ყაჩაღები დამალვას მოასწრებენ.

— ხომ არ იგვიანებს თქვენი პოლიცია? — საყვედურის კილოთი იკითხა კარპენტერმა.

— არა, ისინი აუცილებლად გამოჩნდებიან ერთ კვირაში ან ერთ თვეში; მათ გარკვეული დრო სჭირდებათ, რათა რადარებით ყაჩაღების ხომალდის კურსი დაადგინონ, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენი გატაცების ამბავი ჯერ არ იციან. აქამდე, ასეთ შემთხვევებში, როცა ბავშვებს ინსტიტუდან იტაცებდნენ, მთავრობა ჯერ გამოსასყიდს იხდიდა და შემდეგ აცნობებდა ამ ფაქტს კოსმიურ პოლიციას, თუმცა პოლიცია მაინც დაეძებს ხოლმე გამტაცებლებს, რაც დიდ დროს მოითხოვს საპლანეტათაშორისო სივრცეში.

— მე მგონი, მათ უნდა იჩქარონ, თორემ შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოხდეს — შეაწყვეტინა კარპენტერმა მარსას მონოლოგი, სემი პალმების ტევრში დამალა და დამცავი ველი ჩართო. შემდეგ კარპენტერმა ერთადერთი პორტატიული იარაღი მოიმარჯვა, რითაც ტრიცერატანკი იყო აღჭურვილი; ეს იარაღი სპეციალურად იყო შექმნილი მათთვის, ვისაც დროში მოგზაურობა უხდებოდა. კარპენტერმა იარაღი მხარზე გადაიკიდა, კაბინიდან ამოძვრა, მერე ბავშვებსაც მიეხმარა ამოსვლაში და სამივენი ხომალდს მიუახლოვდნენ. სკიპი აცოცდა ხომალდზე, რამოდენიმე წამში მის კარი შეაღო და ქვემოთ ალუმინის კიბე დაუშვა.

— ამოდით, ყველაფერი მზადაა!

მარსამ ირგვლივ მიმოიხედა და შეშფოთებით თქვა — სემს ხომ არაფერი მოუვა?!

— ნუ გეშინია, პაწაწავ, არაფერი მოუვა! — დაამშვიდა იგი კარპენტერმა — აბა, ახლა აძვერი ზემოთ!

ხომალდის კონდიცირებული ჰაერი ზუსტად ისეთივე ტემპერატურისა იყო, როგორც სემის კაბინაში განათება კი — მკრთალი და შემზარავი. სპირალისებრი კიბე მაღლა მიემართებოდა, სადაც სამანქანო და საცხოვრებელი განყოფილებები მდებარეობდა. კარპენტერმა საათს დახედა, რომელიც ადრევე გადაიყვანა ოთხი საათით უკან; უკვე 8 საათი და 24 წუთი შესრულებულიყო. რამოდენიმე წუთში, ოთხი საათის შემდეგდროინდელ გარემოში, პტერანოდონები სემზე შეტევას დაიწყებენ. შეტევის დასრულებისთანავე თავისი ხომალდისაკენ რომ წამოვიდნენ ყაჩაღები, კარპენტერი მაინც მოასწრებს რადიოგრამის გაგზავნას და ჩაფიქრებული ხაფანგის მომზადებას.

— აბა, ბავშვებო, დავკეტოთ ყველა კარი და რადიოსადგურთან წავიდეთ — დაიწყო მოქმედება კარპენტერმა, მაგრამ ბავშვები რატომღაც არ აპირებდნენ ამ ბრძანების შესრულებას და დერეფანში შეჩერდნენ. — რა მოხდა, მარსზე ვერ შეძლებთ რადიოსიგნალების გადაცემას? — გაოცებით იკითხა კარპენტერმა.

— შევძლებთ... მაგრამ ჩვენ სახლში წასვლა არ გვინდა, მისტერ კარპენტერ — ძლივს ამოღერღა სკიპმა.

კარპენტერმა ვერაფერი გაიგო, ბავშვებს რაღაც გამოცნობი სურვილი ამოძრავებდათ.

— როგორ თუ სახლში არ გინდათ?! — ბავშვები ხმას არ იღებდნენ. — ჩვენ ეგებ ყაჩაღების კაიუტაში ჩაკეტვა მოვახერხოთ კიდეც, მაგრამ თუ ვერ შევძელით ეს, იმედად ის მაინც დაგვრჩება, რომ რადიოგრამა გაგზავნილია და კოსმიურმა პოლიციამ იცის თქვენი ადგილსამყოფელი. ის მაინც მითხარით, რა დროა საჭირო კოსმიური პოლიციისათვის, რომ მათ მარსიდან დედამიწამდე მოაღწიონ?

— პლანეტების ახლანდელი განლაგების გათვალისწინებით, ოთხი დღე-ღამე მაინც იქნება საჭირო საამისოდ — თქვა მარსამ — თუ გნებავთ, მე უფრო ზუსტად გამოგითვლით ამ დროს...

— საჭირო არ არის, გავიგე, პაწაწავ. სკიპ, ახლა ზემოთ აძვერი, დროს ნუ დავკარგავთ!

ბავშვები უხალისოდ დასთანხმდნენ კარპენტერს; ზემოთ რომ ავიდნენ, მარსიანელთა აპარატურის რაღაც ნაწილი კარპენტერისათვის ნაცნობი აღმოჩნდა, მაგრამ დიდი ნაწილი მისთვის სრულიად უცნობი და უცნაური იყო. იატაკიდან ჭერამდე აღმართული ილუმინატორებიდან დედამიწის წინაისტორიული ეპოქის პანორამა იშლებოდა. კარპენტერმა მზერით სემი მოძებნა, მერე ცასაც ახედა — პტერანოდონები ხომ არ ბრუნდებიანო — მერე კვლავ რადიოსადგურს შეხედა და უცებ შენიშნა, რომ ოთახში ვიღაც მეოთხე გამოჩნდა; კარპენტერმა სასწრაფოდ მოიმარჯვა თავისი იარაღი, მაგრამ იმ მეოთხე უცნობის ხელში რაღაცამ უცნაურად გაიწკარუნა და კარპენტერს ხელიდან იარაღი გაუქრა... გაოცებული კარპენტერი უაზროდ დასცქეროდა თავის ხელებს.

### მეხუთე თავი

ახლადმოვლენილი უცნობი მაღალი და კუნთმაგარი ჩანდა; იგი თითქმის ისევე იყო ჩაცმული, როგორც მარსა და სკიპი, ოღონდ შედარებით მდიდრულად. მის ვიწრო სახეზე იმდენივე სულიერი განცდა იყო აღბეჭდილი, როგორც დაჩიავებულ ვაშლზე; ხელში რაღაც სასროლი იარაღის მაგვარი რამ ეჭირა, რომელიც პირდაპირ კარპენტერის შუბლისაკენ იყო მიმართული. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ზედმეტი მოძრაობის შესრულების შემთხვევაში კარპენტერს კარგი დღე არ ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, უცნობმა „წყალობა“ გამოიმეტა და კარპენტერს ამცნო:

— არ გაინძრე, თორემ შუაზე გაგხერხავ!

— არა, ჰოლმერ! — შეჰკივლა მარსამ — არ გაბედო, იგი მხოლოდ დაგვეხმარა ჩვენ იმიტომ, რომ შევეცოდეთ.

— კი მაგრამ პაწაწავ — გადაულაპარაკა კარპენტერმა მარსას ისე, რომ ჰოლმერისათვის თვალი არ მოუშორებია — შენ ხომ თქვი, რომ ისინი სამნი არიან?!

— ჰო, სამნი არიან, მისტერ კარპენტერ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ; როგორც ჩანს, მესამე პტერანოდონი უპილოტო იყო, მათ ჩვენ მოგვატყუეს. მარსას სიტყვა ჰოლმერმა შეაწყვეტინა, რომლის ხმაში არც გამარჯვებულის ზეიმურობა ჟღერდა და არც რაიმე დამცინავი ტონი:

— ჩვენ ასეც ვფიქრობდით, ყმაწვილო, რომ შენ მომავლიდან ხარ მოსული. ჩვენ ამ დედამიწას დიდი ხანია ვიცნობთ და ვერ დავუშვებდით იმ ფაქტს, რომ მის აწმყოში შენნაირი არსებები ბინადრობენ. შენი ტანკის გუშინდელმა ერთსაათიანმა გაუჩინერებამ კი გვაფიქრებინა, რომ შენ ამ ფანდს ერთხელაც მიმართავდი და არც შევმცდარვართ; ასე რომ, აქ პატარა ხაფანგი დაგახვედრეთ, რადგან გვჯეროდა, რომ შენ მასში მოსახვედრად ჭკუა გეყოფოდა. მე ჯერ არ გადაგხერხავ იმიტომ, რომ მინდა როული და ფრიტადიც დატკბნენ შენი ხილვით. მერე კი შენც და ამ ორ ბავშვსაც მოგსპობთ... ისინი ჩვენ აღარ გვჭირდება.

კარპენტერს სხეული გაეყინა; ჰოლმერის წმინდა ლოგიკურ განსჯაში ძალზედ კარგად იკვეთებოდა ჩვეულებრივი შურისძიება

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

*თარგმნა ალ. ელერდაშვილმა*

## კალენდარი

**18 მაისი**

– 1878 წ. – მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პანამის არხის მშენებლობის დაწყების შესახებ.
– 1936 წ. – ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი.
– 1980 წ. – პირველად, 1857 წლის შემდეგ, ვულკანმა სანტ ჰილენსმა (აშშ) ამოფრქვევა დაიწყო და 600 კვ. კმ. ფართობი გააჩანაგა.

<u>**დაიბადნენ:**</u>

– 1525 წ. – პიტერ ბრეიგელი, ფლამანდიელი მხატვარი.
– 1692 წ. – ჯოზეფ ბატლერი. ინგლისელი ფილოსოფოსი.

<u>**გარდაიცვალნენ:**</u>

– 1799წ. – პიერ აუგუსტ ბომარშე, ფრანგი დრამატურგი.
– 1803 წ. – იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, გერმანელი პოეტი და კრიტიკოსი.
– 1911 წ. – გუსტავ მალერი, ავსტრიელი კომპოზიტორი.

**19 მაისი**

– 1585 წ. – ესპანეთში დაატყვევეს ინგლისის ხომალდები; ეს გახდა მიზეზი ომის დაწყებისა.
– 1964 წ. – აშშ-მ ოფიციალური ნოტა წარუდგინა სსრკ-ს მთავრობას მოსკოვში აშშ-ს საელჩოში დამონტაჟებული საიდუმლო მიკროფონების თაობაზე.

<u>**დაიბადნენ:**</u>

– 1762 წ. – იოჰან გოტლიბ ფიხტე, გერმანელი ფილოსოფოსი.
– 1890 წ. – ჰო ში მინი, ვიეტნამელ კომუნისტთა ლიდერი.

**20 მაისი**

– 1927 წ. – ბრიტანეთმა ცნო საუდის არაბეთის დამოუკიდებლობა.
– 1941 წ. – გერმანელებმა მოახდინეს კვიპროსის ოკუპაცია.

<u>**დაიბადნენ:**</u>

– 1444 წ. – სანდრო ბოტიჩელი, იტალიელი მხატვარი.
– 1799 წ. – ონორე დე ბალზაკი, ფრანგი მწერალი.
– 1915 წ. – მოშე დაიანი, ისრაელის სამხედრო ლიდერი.

<u>**გარდაიცვალა**</u>

– 1506 წ. – ქრისტეფორე კოლუმბი, იტალიელი ზღვაოსანი.

**21 მაისი**

– 1840 წ. – ახალი ზელანდია გამოცხადდა ბრიტანეთის კოლონიად.
– 1851 წ. – ავსტრალიაში პირველად აღმოაჩინეს ოქროს საბადო.

<u>**დაიბადნენ:**</u>

– 1527 წ. – ესპანეთის მეფე ფილიპე II.
– 1688 წ. – ალექსანდერ პოპი, ინგლისელი პოეტი და სატირიკოსი.

<u>**გარდაიცვალა**</u>

– 1639 წ. – ტომაზო კამპანელა – იტალიელი ფილოსოფოსი.

**22 მაისი**

– 856 წ. – ნორვეგიის მეფის ვაჟმა, ოლაფმა დაიპყრო ირლანდია და დუბლინი გამოაცხადა თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად.
– 1914 წ. – სპარსეთის ყურის ნავთობსაბადოებზე დიდი ბრიტანეთის კონტროლი დაწესდა.
– 1972 წ. – აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონსა და საბჭოეთის ლიდერ ლეონიდ ბრეჟნევს შორის პირველი შეხვედრა შედგა.

<u>**დაიბადნენ:**</u>

– 1813 წ. – რიჰარდ ვაგნერი, გერმანელი კომპოზიტორი.
– 1859 წ. – არტურ კონან დოილი, ინგლისელი მწერალი.
– 1907 წ. – ლოურენს ოლივიე, ინგლისელი მსახიობი.
– 1924 წ. – შარლ აზნავური, ფრანგი მომ-

**ახლახანს ჩვენს რედაქციას ესტუმრა პიროვნება, რომელმაც შემოგვთავაზა კრუხ-კვერცხ-დებადობის ამაღლების ახალი მეთოდი, რაც, ჩვენი აზრით, ფრიად საყურადღებო აღმოჩენაა, ოღონდ არაფრისდიდებით არ უნდა გაუგონოს ინფორმაციამ და თავად კრუხებმა ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდნენ.**

**მაშ, ასე:**

ფერმაში (ან კერძო მეურნეობაში - რედ.) ყოველი კვერცხისმდებელი კრუხის საბუდარის ქვეშ კეთდება სპეციალური, მაღალი მგრძნობიარობის სარქველით აღჭურვილი, საიდუმლო გვირაბი;

როგორც კი კრუხი კვერცხს დადებს, სარქველი იხსნება და კვერცხი გვირაბში ვარდება;

კრუხი რომ მოიხედავს და ნახავს რომ კვერცხი არ დევს, იწყებს კრიახს:

**იდეა!**

— უიმე, მამიკვდეს თავი! ახლა რომ კვერცხი დავდე, სად ჯანდაბაში დაიკარგა, ქა?! ...აი, ასე... ერთხანს კრიახებს და, რა თქმა უნდა, ისევ დებს კვერცხს, რომელიც ისევ გვირაბში ვარდება და ასე კვერცხის დების პროცესი თავიდან იწყება...

*<u>დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მსურველებმა მიმართონ რედაქციას.</u>*

**შეეცადეთ აღადგინოთ სიტყვების პირვანდელი სახე და განათავსოთ კროსვორდის ბადეში.**

| | |
|---|---|
| ააი – მჩძ | აი – კრჭ |
| ააი – ზმმრ | იიი – რს |
| აა – მპრ | ააი – ბრც |
| აი – კრხ | აიიი – დლ |
| აიი – მს | აი – დდრ |
| ააეიი – დმტც | აეი – მს |
| ეიო – ნს | ააი – ლნ |
| აიი – დრ | ააიო – ბდლრრ |
| აააიი – მრრტტქ | ეიი – რს |
| აეეიი – კლმრ | აიო – დქ |
| ააეიო – დქმნ | აიი – ტტ |
| აი – დნრ | ააი – ნნს |
| იი – ლრჭ | ააიი – დლნ |
| ეეი – ბდტ | იო – კმრ |
| აიიო – ნრ | აი – რჩხ |
| აა – მრს | ეეი – დვრ |
| ააი – მრ | აი – მრცხ |
| ეიი – ბლ | იი – ვზნ |
| აიო – ზტ | |



# კალენდარი

ღერალი.
– 1946 წ. – ჯორჯ ბესტი, ჩრდ. ირლანდიელი ფეხბურთელი.

<u>გარდაიცვალა</u>

– 1991 წ. – რაჯივ განდი, ინდოეთის პოლიტიკური ლიდერი.

**23 მაისი**

– 1926 წ. – საფრანგეთმა რესპუბლიკად გამოაცხადა ლიბანი.

<u>დაიბადნენ:</u>

– 1335 წ. – თემურ ლენგი.
– 1933 წ. – ჯოან კოლინზი, ინგლისელი მსახიობი.
– 1906 წ. – ჰენრიკ იბსენი – ნორვეგიელი დრამატურგი.

**24 მაისი**

– 1530 წ. – ლონდონში შედგენილ იქნა ერეტიულ წიგნებად მიჩნეულ ნაწარმოებთა სია.
– 1726 წ. ბასტილიიდან განთავისუფლების შემდეგ ვოლტერი ინგლისს ეწვია.
– 1862 წ. – ლონდონში გაიხსნა ვესმინისტერის ხიდი მდინარე ტემზაზე.
– 1948 წ. – სსრკ-ს ინიციატივით ბერლინსა და დასავლეთს შორის შეწყდა საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა.

<u>დაიბადნენ:</u>

– 1540 წ. – უილიამ გილბერტი, ინგლისელი ფიზიკოსი.
– 1743 წ. – ჟან-პოლ მარატი, ფრანგი რევოლუციონერი.
– 1941 წ. – ბობ დილანი, ამერიკელი მომღერალი და კომპოზიტორი.

<u>გარდაიცვალნენ:</u>

– 1543 წ. – ნიკოლას კოპერნიკი, პოლონელი ასტრონომი.
– 1974 წ. – დიუკ ელინგტონი, ამერიკელი ჯაზმენი.

**25 მაისი**

– 1234 წ. – მონღოლებმა დაამხეს ჩინელთა სამეფო დინასტია.
–1659 წ. – დასრულდა რიჩარდ კრომველის მმართველობის ხანა.

<u>დაიბადნენ:</u>

– 1803 წ. – რალფ ემერსონი, ამერიკელი პოეტი და ესეისტი.
– 1881 წ. – ბელა ბარტოკი, უნგრელი კომპოზიტორი.
– 1892 წ. – იოსიფ ბროზ ტიტო, იუგოსლავიის ლიდერი.

<u>გარდაიცვალა</u>

– 1681 წ. – პედრო კალდერონი, ესპანელი დრამატურგი.

**26 მაისი**

– 1865 წ. – დასრულდა ამერიკის სამოქალაქო ომი.

**27 მაისი**

– 1299 წ. – ვენეციასა და გენუას შორის დასრულდა 30-წლიანი ქიშპი ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობის სფეროში.

<u>დაიბადა</u>

– 1923 წ. – ჰენრი კისინჯერი, ამერიკელი პოლიტიკოსი.

<u>გარდაიცვალნენ:</u>

– 1564 წ. – ჯონ კალვინი, ფრანგი რელიგიური რეფორმატორი.
– 1840 წ. – ნიკოლო პაგანინი.
- 1964 წ. – ჯავაჰარლალ ნერუ, ინდოელი პოლიტიკოსი.

**28 მაისი**

– 1358 წ. – საფრანგეთში დაიწყო „ჟაკერიად" წოდებული გლეხთა აჯანყება.

<u>დაიბადა</u>

– 1779 წ. – თომას მური, ირლანდიური წარმოშობის პოეტი.

**29 მაისი**

– 862 წ. – რიურიკებმა დააარსეს პირველი სამეფო დინასტია ნოვგოროდში (რუსეთი).
– 1453 წ. – ოტომანთა იმპერიის დამაარსებელმა მეჰმედ II-ემ დაიპყრო კონსტანტინეპოლი; ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე XI მოკლულ იქნა და მისმა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.
– 1848 წ. – ვისკონსინი აშშ-ს შტატად გამოცხადდა.

<u>დაიბადნენ:</u>

– 1874 წ. – გილბერტ კიტ ჩესტერტონი, ინგლისელი მწერალი და კრიტიკოსი.
– 1917 წ. – ჯონ კენედი, აშშ-ს 35-ე პრეზიდენტი.

**30 მაისი**

– 1431 წ. – რუანში კოცონზე დაწვეს ჟანა დ'არკი, როგორც ერეტიკოსი.
– 1913 წ. – თურქეთსა და ბალკანეთია ქვეყნებს შორის ლონდონში საზავო ხელშეკრულება დაიდო.
– 1929 წ. – დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა ლეიბორისტულმა პარტიამ.

<u>დაიბადნენ:</u>

– 1672 წ. – პეტრე პირველი, რუსეთის დიდი მეფე.
– 1846 წ. – პეტერ კარლ ფაბერჟე, ცნობილი იუველირი და ოქროს ოსტატი.

<u>გარდაიცვალნენ:</u>

– 1593 წ. – ქრისტოფერ მარლო, ინგლისელი დრამატურგი.
– 1640 წ. – პეტერ პაულ რუბენსი, ფალნდრიელი მხატვარი.
– 1778 წ. – ვოლტერი, ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი.

# სკანდინავიური კროსვორდი





**თარაზულად:** 11. არალეგალური სასწავლო „ინვენტარი". 12. XIX ს. ფრანგი კომპოზიტორი. 13. ადამიანისათვის აუცილებელი ყოველდღიური ინვენტარი. 15. სასკოლო ინვენტარი. 16. აქ გემოვნების მანიშნებელი სამი სიტყვა შეგიძლიათ ჩაწეროთ. 17. სასკოლო ჟურნალში ხშირად ფიქსირებადი სიტყვა. 18. დომინოსეული ჟარგონი. 19. ბიჭუნა, რომელიც ბატებს გაჰყვა თბილ ქვეყნებში. 20. მორალური კატეგორია. 21. როგორი მოვლენაა სკოლის დამთავრება პიროვნების ცხოვრებაში? 26. სასწავლო დაწესებულება. 28. „ფანტაზიისათვისათვის" (...და სხვებისათვისაც) აუცილებელი დაწესებულება. 29. იტალიელი კინოკომიკოსი. 31. როგორი ნაწარმოებია, თუნდაც, „სიბრძნე სიცრუისა"? 33. სასკოლო პერსონაჟი. 38. ყველას რომ გვიყვარს... და განსაკუთრებით არაფხიზელ მდგომარეობაში. 39. ნიადაგის შემადგენელი ნაწილი. 40. სავაჭრო ობიექტი. 41. წარსულთან დაკავშირებული სულიერი დისკომფორტი. 42. წინასწარ გათვლილი ქმედება. 44. წარმოსახვითი მიჯნური „ნატვრის ხეში".

**შვეულად:** 1. ადამიანის სხეულიდან ამოსაკვეთი ორგანი. 2. დაუთანხმებლობის უკიდურესი ფორმა. 3. ადამიანთა ერთობლიობის სახესხვაობა. 4. ტიპიური კინოინვენტარი. 5. გეომეტრიული ფუნქცია. 6. XX საუკუნის ერთ-ერთი სასწაული. 7. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია. 8. აინშტაინისეული ცნება. 9. მისათითებელი სიტყვა. 10. ორგანიზმში ნივთიერებათა შემცველი. 14. ამაგის არდამფასებელი, ანუ როგორი? 22. რა სჭირდება გრძელ თმას? 23. რა უნდა გააჩნდეს გონებას? 24. ორმოცდახუთი წუთი. 25. მეტისმეტად სუფთა. 27. ქართული ლიტერატურის უპირველესი რაინდი. 30. საკალათბურთო ცნება. 32. ფინანსური დახმარების სახესხვაობა. 34. ფატალიზმთან დაკავშირებული ცნება. 35. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი. 36. კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგი. 37. ფრინველთა სამყაროს წარმომადგენელი. 43. სამაგიდო თამაში.



1. რაიკომის (ყოფილი) მდივანი რეზო თაბუკაშვილის პიესაში. 2. **შეეცადეთ ფოტოზე გამოსახული ქალი ამოიცნოთ**. 3. რა იყო სოციალიზმი კაცობრიობის ისტორიისათვის (...ეს, რა თქმა უნდა დღევანდელობის შეხედულებაა). 4. პოპულარული დამაწყნარებელი მედიკამენტი. 5. FIFA-ს ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი. 6. რა მოვიმოქმედე დადიანის ქალთან მიმართებაში... პოპულარულ სიმღერაში (ორი სიტყვა). 7. 14. XII. 1825 წელი... ვინ(-ები) გახსენდებათ ამ თარიღის გაცნობიერებისას? 8. მახინჯის, უშნოს ერთ-ერთი სინონიმი. 9. ალმ. წარმოშობის ძველი მუს. ინსტრუმენტი. 10. ქართველი მსახიობი ფილმიდან „უგრიუმ-მდინარე“. 11. დროის ეპოქალური მონაკვეთი. 12. **შეეცადეთ შეიცნოთ ფოტოზე აღბეჭდილი ქალაქი**. 13. სამოცდაათიანი წწ. ქართული ვოკ.-ინსტრ. ანსამბლი. 14. საარსებო საშუალების მოსაპოვებელი ქმედების სახესხვაობა. 15. სიყვარულში მეტოქე და მოცილე. 16. სანქტ-პეტერბურგელი ექიმი და მომღერალი. 17. საცხოვრებელი ფართის შემადგენელი ნაწილი. 18. **შეეცადეთ გაიხსენოთ ფოტოზე გამოსახულ ქალბატონთან ერთად დაღუპული პიროვნება**. 19. მდინარე აშშ-ში. 20. რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი. 21. პერსონაჟი ფილმისა (...და, რა თქმა უნდა, რომანისა) „ქარწაღებულნი“. 22. ყველაზე ცნობილი ქართველი (კინო)რკინიგზელის მეუღლე. 23. საუკეთესო დასასვენებელი სივრცე ზაფხულში. 24. მწვანე ნარგავების საერთო თვისება... გვიან გაზაფხულზე. 25. პერსონაჟი ფრანსუა რაბლეს შემოქმედებიდან 26. კანონებისა და იურიდიული აქტების განმარტებათა კრებული. 27. ეს კაცი ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგად უკანასკნელი ათასი წლის უდიდეს პიროვნებად აღიარეს... ვინ არის იგი? 28. ქართველი კინორეჟისორი. 29. დერსუ-უზალას სამოღვაწეო სივრცე. 30. ვინ(-ები) არიან ისინი, რომლებსაც მეომარი მხარეები იძულებით აკავებენ? 31. რა სჭირდება ამბიციურ ადამიანს საზოგადოებასთან მიმართებაში საკუთარი პიროვნულობის დასამტკიცებლად? 32. კაცობრიობის თანამდევი (თითქმის) სტიქიური პროცესი. 33. ენერგიის უანგაროდ მხარჯველი... ანუ? 34. როგორი შეიძლება იყოს გაზი? 35. მომცრო ზომის ნარგავი. 36. ისტორიას ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო ქმედება. 37. სპარსულად ეს სიტყვა უქონელს, უპოვარს ნიშნავს, ჩვენს ენაში კი ამ უქონლობამდე მისული ზარმაცის მნიშვნელობა შეიძინა... 38. რუსი მხატვარი-პერედვიჟნიკი. 39. რა შეიძლება ახასიათებდეს არასრულფასოვან საზოგადოებას? 40. ქართველი ფეხბურთელი და მწვრთნელი. 41. **ამ პიროვნების ნამდვილი სახელი და გვარი თომას ლანირია... შეეცადეთ გაიხსენოთ მისი ფსევდონიმური სახელი**. 42. ალმ. წარმოშობის სალანძღავი სიტყვა. 43. ქართული მისამღერი. 44. კახური „კეტჩუპი“. 45. მედუდუკეთა ანსამბლის ცნობილი ხელმძღვანელი. 46. ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი თვითნასწავლი ტრამპლინიდან მხტომელის შესახებ. 47. აბსტრაქტული ცნება, რომელიც შეიძლება ადამიანის სხეულს დაადგეს. 48. მხატვარი, რომელიც ტიციან ტაბიძემ თ. წერეთლის დასახასიათებლად გამოიყენა. 49. აბატი პრევოს ნაწარმოების მთავარი გმირი. 50. ბავშვთა ქართული ვოკალური ანსამბლი. 51. რა სჭირდება თოვლს საკუთარი კონფიგურაციის გამოსახატავად? 52. ორგანიზაციის პასუხისმგებელი და განმკარგულებელი პირი. 53. დღე-ღამის მონაკვეთი, როცა სინათლის ნაკლებობა იგრძნობა. 54. ერბოში მოშუშული ფქვილი. 55. ეს სიტყვა არაბულში ჭეშმარიტი ქმედების დასადასტურებლად იხმარება, ჩვენში კი საპირისპირო მნიშვნელობით დამკვიდრდა... 56. ძველ ხელნაწერებში შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული (~) ნიშანი. 57. ავტორი ტრაგედიისა „ფედრა“. 58. ერთ-ერთი რომანული ეპიზოდის მთავარი პერსონაჟი ქალი ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ (ეს ეპიზოდი თარგმნილია და გამოცემულია ქართულ ენაზე). 59. სხეულის დამახასიათებელი ფიზიკური ცნება. 60. სამოცდაათიან წლებში სიკვდილით დასჯილი ჩილეს პოლიტიკური ლიდერი. 61. ქართველი მოქანდაკე ქალი. 62. **შეეცადეთ გაიხსენოთ ამ ქალბატონის ყველაზე ცნობილი კინოპერსონაჟი**. 63. „შაჰ-ნამესეული“ როსტომის ერთ-ერთი ლეგენდარული წინაპარი. 64. ჩაგონების ერთ-ერთი საშუალება. 65. სავაჭრო გარიგებასთან დაკავშირებული ცნება. 66. რუსლან მიქაბერიძის საყვარელი ლიტ. ჟანრი. 67. კურორტი, რომელსაც ოდესღაც მარეხ გოძიაშვილი უმღეროდა. 68. ქართული თეატრის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე წარსულში. 69. უჯრედში სასიცოცხლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ნივთიერება. 70. შეიარაღებული კონფლიქტების უარმყოფი იდეოლოგიური მიმდინარეობა. 71. ვიწრო ქუჩა. 72. შეთხზული გვარი ქართული კინოს უარყოფითი პერსონაჟისათვის. 73. **(თარაზულად)** ბუნების მესაიდუმლე რუსი მწერალი. 73. **(შვეულად)** კუჭის წვენის ფერმენტი. 74. 96 წლის ასაკში გარდაცვლილი ინგლისელი მწერალი ქალი. 75. სახელი ლეილა აბაშიძის ერთ-ერთი კინოპერსონაჟისა. 76. რუსული ოპერის მომღერალი ქალი. 77. ქალი... ანსამბლ „ორერას“ ერთი ძველი სიმღერიდან. 78. XVIII ს. ინგლისელი მწერალი-კლასიკოსი. 79. ჩვენი მთიელების ერთ-ერთი ღვთაება. 80. მეტყველებასთან დაკავშირებული ცნება. 81. პროფესია, რითაც ევგენი პეტროსიანი მოღვაწეობას იწყებდა. 82. სახელი კაცისა, რომელსაც ხშირად იმოწმებს ეროსი მანჯგალაძე გურამ დოჩანაშვილის ერთ ტელენოველაში. 83. დასავლეთგერმანული ფეხბურთის ყველა დროის უძლიერესი მეკარე. 84. ამერიკელი ბიოლოგი, გენეტიკის ერთ-ერთი დამაარსებელი. 85. ერთობ ძონძროხა პერსონაჟი ქართული მულტიპლიკაციისა. 86. მსახიობი, რომელსაც თითქმის ყოველ საღამოს შევცქერით (1998 წ. მაისი). 87. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე და დიდი წარმატებების მქონე ბრიტანელი ფელდმარშალი. 88. XX ს. უკრაინელი პოეტი. 89. ვარსკვლავი ქალწულის თანავარსკვლავედში. 90. (ვინმე) პერესი, მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკოსი. 91. ორი საბუნებისმეტყველო მეცნიერების ნაერთი. 92. ქართული გარდერობის შემადგენელი ნაწილი. 93. არაქალაქელის დამცინავი მოხსენიების სიტყვა. 94. სითხის მცირე, მოძრავი ნაწილი. 95. შუა აზიის ისტორიული ქალაქი. 96. ნივთიერების ნაწილაკებს შორის არსებული სიცარიელე. 97. საბჭოელი კოსმონავტი. 98. ოპერა, რომელიც 1831 წელს შეიქმნა ერთი დიდი იტალიელი კომპოზიტორის მიერ. 99. ქართველი კინორეჟისორი.

# კროს-ჩემპიონატი X ტური

**19.05. - 30.05. - პრიზი 100 ლარი**


18


41


62



1. დამწყები მუსიკოსისათვის აუცილებელი და მეტად საჭირო ხელსაწყო.
2. სახელი და გვარი მწერლისა, რომელსაც ეკუთვნის რომანი „დოქტორი ფიშერი ჟენევიდან, ანუ ბანკეტი ბომბის თანხლებით“.
3. ავტორი რომანისა „თამაში ჭვავის ყანაში“.
4. კაცი, რომელმაც 1911 წლის 14 დეკემბერს დედამიწის კიდევ ერთი „მწვერვალი“ დაიპყრო.


2


12

**კროს-ჩემპიონატში მონაწილეთა საყურადღებოდ:**

1) მეცხრე ტურის კროსვორდში შვეული № 53-ის კითხვა არასწორადაა ფორმულირებული, ასე რომ ეს კითხვაც და მისი ორი გადამკვეთიც (თარაზული №55 და 61) ავტომატურად ჩაგეთვლებათ. როგორც ჩანს დაძაბულობამ ისეთ კულმინაციას მიაღწია, რომ კროსვორდების ავტორიც ზედმეტად ღელავს....

2) გთხოვთ პასუხები გამოგზავნოთ არაუგვიანეს 30 მაისისა, რათა 9 ივნისის ნომერში შევძლოთ შედეგების შეჯამება




საჩუქრად „ფანტაზიას“:

1. ისტებლიშმენტი. 2. კირიეელეისონ. 3. ისანიჭამელი. 4. თვალშესაული. 5. ხელოვნება. 6. ევანგელე. 7. თხუნელა. 8. გუმანი. 9. „ალიკო“. 10. ზარი. 11. ექო. 12. თორა. 13. იმედო. 14. ფრანგი. 15. ალიგოტე. 16. ნოტა ბენე. 17. ტალეირანი. 18. ამსტერდამი. 19. „ზვიოზდნო ჩას“. 20. ინცესტოფალია. 21. აგლაოტრიენასი.

1-11-21 დიაგონალებზე კი უნდა ამოგეკითხათ ფრაზა „იკითხეთ გაზეთი „ფანტაზია“„









**ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 2 ივნისს**

ი/ს „**ფანტაზია**“,რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ,№ 7/1-1811

**ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები**

„300 არაგველი“,გუთნის 10,ტელ 77-64-80
წერილებისთვის - 380003,ალ.ელერდაშვილს,მოკითხვამდე